



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



ანაკადაღოგონი
ჯოგენიგონის
ინსტიტუტი

სკოლის კლიმატის კვლევის მეთოდოლოგია

თბილისი
2018

სკოლის კლიმატის
კვლევის მეთოდოლოგია

თბილისი
2018

ტრენერთა სახელმძღვანელო

სკოლის კლიმატის კვლევის მეთოდოლოგია

© არაძალადობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტი

ავტორი: ნატო ყვაველაშვილი

პროექტის მენეჯერები: ანა სუბელიანი, თამაზ ახობაძე

რედაქტორი: თამთა გოგიჩაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება: ნიკოლოზ შაიშველაშვილი

ილუსტრაციების ავტორი: კოკა ქიტიაშვილი

გამოცემულია ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის მიერ მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

სარჩევი:

კვლევის მეთოდოლოგია	5
ანტი-ბულინგური პროგრამის პროცესის აღწერა - პირველი ეტაპი	8
დაწყებითი კლასის მოსწავლეების ბულინგის გამოცდილების შეფასება	12
ბულინგის კითხვარი უფროსკლასელებისთვის	22
დათვლის ინსტრუქცია	26
ფოკუს-ჯგუფის კითხვები მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისთვის	27
ფოკუს-ჯგუფის კითხვები მშობლებისთვის	31

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, სკოლებში არსებული მდგომარეობის შესასწავლად, გამოყენებულია კვლევის, როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები. კვლევის თვისობრივ მეთოდში გამოყენებული განსაკუთრებით ჯგუფური დისკუსიის, იგივე ფოკუს-ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს ტექნიკები, ასევე ნახევრად პროექციული მეთოდი (ბარათებით კომუნიკაცია) დაწყებითი კლასების მოსწავლეებთან. რაოდენობრივი მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებულია „ბულინგის“ კითხვარი.



ინსტრუმენტები



ფოკუს-ჯგუფის სახელმძღვანელო და ჩაღრმავებული ინტერვიუ

კვლევითი გუნდის მიერ, წინასწარ მომზადდა ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის თემები, რომლებიც მოიცავდა სხვადასხვა საკითხებს სკოლებში არსებული „ბულინგის“ შესასწავლად. თითოეული სამიზნე ჯგუფისათვის, იდენტიური თემებისთვის, კითხვები სხვადასხვაგვარად ფორმულირდა და შეიქმნა ფოკუს-ჯგუფის სამი სახელმძღვანელო (მასწავლებლებისათვის, ტექნიკური პერსონალისათვის და მშობლებისათვის). აღმინისტრაციისათვის ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს, გამოყენებული იყო მასწავლებლებისათვის განკუთვნილი ფოკუს-ჯგუფის კითხვარი, რადგან თემები მსგავსი განხილვით და კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საჭირო იყო იმავე ინფორმაციის მიღება. ფოკუს-ჯგუფის კითხვები დაეგზავნა რამდენიმე ექსპერტს, მათი კომენტარებისა და შენიშვნების გათვალისწინებით, დაიხვეწა და შემუშავდა საბოლოო დოკუმენტი.



ბარათებით კომუნიკაცია

საინტერესოდ მივიჩნიეთ, შეგვესწავლა „ბულინგის“ ფენომენი დაწყებით კლასებში. ამასთან დაკავშირებით, გავიარეთ კონსულტაციები სფეროს ექსპერტებთან - ბავშვთა ფსიქოლოგებთან და მკვლევრებთან. კონსულტაციების შედეგად, კვლევითმა გუნდმა შეიმუშავა „ბულინგის“ შესაფასებელი ბარათები, რომელიც ასახავს „ბულინგის“ ტიპურ შემთხვევებს ბავშვებში. შემფასებელი სთხოვს ბავშვს, დააკვირდეს ბარათზე მოცემულ (დახატულ) სიტუაციას და უპასუხოს, ყოფილა თუ არა მსგავსი სიტუაციაში ან სხვა ბავშვი ხომ არ უნახავს.



ბულინგის კითხვარი

12 წლის და 12 წლის ზემოთ მოსწავლეებთან, გამოყენებული იყო 36 დებულებიანი მოზარდების თანატოლებთან ურთიერთობის ინსტრუმენტი¹, რომელიც ზომავს როგორც მსხვერპლის, ასევე ბულიერის გამოცდილებას. მოხდა ექსპერტთა გუნდის მიერ ინსტრუმენტის ადაპტირება თარგმანისა და უკუთარგმანის საშუალებით და თან დაერთო რამდენიმე ღია კითხვა, დამატებით სიღრმისეული ინფორმაციის ამოღების მიზნით².



შერჩევა

კვლევისთვის შეირჩა ორი სკოლა. ფოკუს-ჯგუფები მასწავლებლებთან გაიყო ორად, ორივე სკოლაში - დაწყებითი კლასებისა და უფროსი კლასების მასწავლებლები.

ფოკუს-ჯგუფები განხორციელდა მასწავლებლებთან, სკოლის ტექნიკურ პერსონალთან (მძღოლი, დაცვა, ბუფეტის გამყიდველი) და მოსწავლეების მშობლებთან. ჩაღრმავებული ინტერვიუება ჩატარდა სკოლის დირექტორებთან და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღების მიზნით, დაწყებითი კლასის მასწავლებლებში, გაერთიანდა პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კლასის სხვადასხვა დისციპლინის მასწავლებლები, ხოლო უფროსი კლასის მასწავლებლებში გაერთიანდა მერვე, მეცხრე, მეთექვსმეტე და მეთორმეტე კლასის სხვადასხვა დისციპლინის მასწავლებლები.

ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა ორივე სკოლის დირექტორთან და ადმინისტრაციის რამდენიმე თანამშრომელთან.

მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისათვის, ფოკუს-ჯგუფები მიზანმიმართულად არ გაერთიანდა, სკოლის იერარქიული სტრუქტურიდან გამომდინარე, რადგან ფოკუს-ჯგუფის მსვლელობისას მასწავლებლებს, შესაძლოა, არაკომფორტულად ეგრძნოთ თავი ადმინისტრაციის წინაშე და ნაკლებად გულახდილნი ყოფილიყვნენ. შესაბამისად, ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც, შესაძლებელია, არ ყოფილიყვნენ საკმარისად გულწრფელნი დიდ ჯგუფში, ამიტომ, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, მათთან ჩაღრმავებული ინტერვიუს ჩატარება.

მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ ტექნიკური პერსონალის გამოკითხვა, რომელიც ბავშვებს საგაკვეთილო პროცესის მიღმა ხედავს - შესვენებისას,

¹Adolescent peer relations instrument, Parada, 2000 (<http://www.cdc.gov/violenceprevention/pdf/bullycompendium-a.pdf>)

² შენიშვნა: ეს ინსტრუმენტი, შესაძლოა, გამოყენებული იყოს, როგორც „ბულინგის“ საზომი პროგრამის განხორციელებამდე და განხორციელების შემდგომაც, იმისთვის რომ გაიზომოს პროგრამის ეფექტურობა.

პოლში, ბუფეტში, ეზოში და სხვადასხვა სიტუაციაში, სადაც, როგორც წესი, „ბულინგი“ ხშირად თავს იჩენს. ამიტომ საინტერესო გახლდათ მიღებული ინფორმაცია, რომელიც კვლევას გაამდიდრებდა. მათი შერჩევა კვლევისთვის, პირადი საუბრების საფუძველზე მოხდა, ფოკუს-ჯგუფში ჩაერთვნენ ის მონაწილეები, რომლებმაც სურვილი და თანხმობა გამოხატეს.

ფოკუს-ჯგუფებისათვის მშობლების შერჩევა მოხდა შემთხვევითი გზით: სკოლამ აცნობა მიმდინარე კვლევის შესახებ და მოიწვია ფოკუს-ჯგუფის დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად. ფოკუს-ჯგუფში ჩაერთო დაახლოებით 100 მშობელი.

როგორც დაწყებითი კლასების მოსწავლეების, ასევე უფროსკლასელი მოსწავლეების გამოკითხვა მოხდა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით. დაწყებით კლასებში ბარათებით გამოიკითხა 50 ბავშვი, ხოლო უფროს კლასებში 200 ბავშვი. ბავშვების რაოდენობა ისე იყო შერჩეული, რომ სკოლის მთლიანი პოპულაციის რეპრეზენტატიული ყოფილიყო.

ანტი-ბულინგური პროგრამის პროცესის აღწერა – პირველი ეტაპი



პირველი კომუნიკაცია

სკოლის დირექციასთან პირველი კომუნიკაცია:

- ▶ მნიშვნელოვანია ნდობის მოპოვება;
- ▶ რა უნდა იცოდეს დირექციამ:
 - ვინ არიან პროგრამის განმახორციელებლები (ორგანიზაცია, კონკრეტული პიროვნებები);
 - რა გამოცდილება აქვს აღნიშნულ ჯგუფს;
 - რას ემსახურება ანტი-ბულინგური პროგრამა (აღნიშვნა, რომ მიზანი გახლავთ დახმარება და არა პრობლემის აფიშირება);
 - კონფიდენციალურობის გარანტია;
 - შესაძლებელია ამ პროგრამის არსებობა გამოიყენონ PR-ისთვის;
- ▶ რა სჭირდება ჯგუფს:
 - სკოლის მხრიდან ნდობა და მზაობა;
 - ერთი საკონტაქტო პირის გამოყოფა (ერთი), რომელთანაც ჯგუფი მუდმივად იკონტაქტებს და მას ექნება გადაწყვეტილების მიღების საშუალება;
 - გაცნობითი შეხვედრის ორგანიზება.



გაცნობითი შეხვედრა/პროგრამის პრეზენტაცია

სასურველია დაესწროს დირექტორი, ადმინისტრაციიდან გად-აწყვეტილების მიმღები პირები, დამრიგებლები.

პროგრამის ჯგუფმა, სკოლის ზემოხსენებულ წარმომადგენლებს, უნდა ჩაუტაროს პრეზენტაცია პროგრამის შესახებ და საწყის ეტაპზე უნდა მოხდეს სამომავლო გეგმების შეთანხმება, მათ შორის, კვლევის ეტაპების დაგეგმვა (როდის სჯობს პირველკლასელები, როდის უფროსკლასელები, მასწავლებლები, ადმინისტრაცია, მშობლები) და მოხდეს გაწერა ზუსტ თარიღებზე. თარიღები უნდა შეიცვალოს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში.

სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები წინასწარ უნდა მომზადდნენ, თუ როგორ ჩართავენ პროგრამის მონაწილეებს (მასწავლებლები, სკოლის სხვა თანამშრომლები, მშობლები, ბავშვები) პროცესში. პროგრამის

გუნდის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მათ უნდა მოახდინონ მონაწილეთა ინფორმირება შემდეგ საკითხებზე: შეხვედრის დრო, ადგილი, ხანგრძლივობა, მიზანი. ბავშვების შემთხვევაში, მათ უნდა უზრუნველყონ ასევე მათი მშობლებისგან ინფორმირებული თანხმობის მიღება. იმ შემთხვევაში, თუ სკოლის ადმინისტრაცია ამ დავალებას ვერ ართმევს თავს, მათ პროგრამის წარმომადგენლებს უნდა მიაწოდონ მონაწილეთა საკონტაქტო ინფორმაცია, რათა შეძლონ მონაწილეთა ინფორმირება.



პირველკლასელი მოსწავლეები

პროგრამის ჯგუფი აუცილებლად უნდა დარწმუნდეს, რომ ვიზიტის შესახებ ინფორმირებულია არა მხოლოდ ადმინისტრაცია, არამედ კლასის დამრიგებლები და მათი მხრიდან (ან პროგრამის ჯგუფის მხრიდან), მოსწავლეების მშობლები. დამრიგებლებს წინასწარ უნდა მიაწოდოთ განმარტება, რომ ინტერვიუერებს დასჭირდებათ დაცული სივრცე, სადაც ისინი შეძლებენ ბავშვებთან ინდივიდუალურად გასაუბრებას. ასევე წინასწარ უნდა ინფორმირდნენ პროცესზე - კლასიდან სამ-ოთხ ინტერვიუერს (ეს დამოკიდებულია თავად ჯგუფზე) პარალელურად გამოჰყავს ამდენივე მოსწავლე, დაახლოებით 7-12 წუთიანი ინტერვიუს შემდეგ, ინტერვიუერები მოსწავლეებს საკლასო ოთახში აბრუნებენ და გამოჰყავთ ახალი მოსწავლეები. უმნიშვნელოვანესია, ინტერვიუს დაწყებამდე, ინტერვიუერმა მოიპოვოს ბავშვის ნდობა და მასთან პოზიტიურ კომუნიკაცია დაამყაროს.



უფროსკლასელები

უფროსკლასელთა გამოკითხვა (ნახევრად თვისებრივი და ნახევრად რაოდენობრივი კითხვარის საშუალებით) ხდება ერთ დღეს. ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ კითხვარის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელდეს სკოლაში და მოსწავლეებმა წინასწარ მომზადებული, რეალობისგან განსხვავებული პასუხებით არ შეავსონ კითხვარები.

პროგრამის ჯგუფი აუცილებლად უნდა დარწმუნდეს, რომ ვიზიტის შესახებ ინფორმირებულია არა მხოლოდ ადმინისტრაცია, არამედ კლასის დამრიგებლები და მათი მხრიდან (ან პროგრამის ჯგუფის მხრიდან), მოსწავლეების მშობლები. დამრიგებლებს წინასწარ უნდა მისცეთ განმარტება, უზრუნველყონ სკამების განლაგება ისე, რომ კითხვარების შევსების დროს, მოსწავლეები ერთმანეთისგან მოშორებით იხდნენ და ვერ შეძლონ ერთმანეთის კითხვარებში ჩახედვა. კითხვარების შესავსებად საჭიროა დახლოებით 30-40 წუთი. პროცესს სკოლის წარმომადგენლები არ უნდა დაეწეონ.

ასევე, მნიშვნელოვანია კითხვარის დაწყებამდე სწორი კომუნიკაცია. მოსწავლეებს უნდა მიაწოდოთ ინფორმაცია:

1. პროგრამის ჯგუფის (განსაკუთრებით, ვინც ესაუბრება) იმ ადამიანის შესახებ;
2. პროგრამის მიზნების და კონცეფციის შესახებ;
3. კვლევის მიზნების შესახებ;
4. მათი მხრიდან კითხვარის შევსების მნიშვნელობის შესახებ;
5. კონფიდენციალობის შესახებ.



მასწავლებლები და ადმინისტრაცია

მასწავლებლები წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე რთულ ჯგუფს სკოლის კულტურის კვლევაში, რადგან, როგორც წესი:

- ▶ მუდმივად აქვთ დროის პრობლემა;
- ▶ უმეტესად, პრობლემის მნიშვნელობას ვერ აღიქვამენ და აქვთ არასერიოზული დამოკიდებულება;
- ▶ მიაჩნიათ, რომ ყველაფერი ძალიან კარგად იციან.

აქედან გამომდინარე, პროგრამის ჯგუფი უნდა იყოს მაქსიმალურად მომზადებული. მკვლევრები წინასწარ დარწმუნდნენ, რომ მასწავლებლები ინფორმირებულები არიან შეხვედრის მიზნისა და ხანგრძლივობის შესახებ (უმჯობესია, წინასწარ გაფრთხილდნენ, რომ შეხვედრა ორი საათის განმავლობაში გაგრძელდება, თუმცა, უმეტესად, მაქსიმუმ 1.5 საათი გრძელდება). ასევე, მნიშვნელოვანია, დროულად მივიდნენ შეხვედრის ადგილას. იგივე ვრცელდება ადმინისტრაციის წარმომადგენლების ინტერვიუებთან დაკავშირებით.

აუცილებელია, რომ მასწავლებლებს (ადმინისტრაციის წარმომადგენლებს) მკვლევრებმა, გაცნობის ეტაპზევე, სწორად მიაწოდონ ინფორმაცია საკუთარი თავის, პროგრამის მიზნებისა და კონცეფციის, ასევე კვლევის მიზნების შესახებ. სასურველია, მკვლევრებმა წინასწარ მოკლედ ისაუბრონ პრობლემის არსის შესახებ, რაც გამყარებული იქნება კონკრეტული მაგალითებით. იმის ცოდნა, რომ „ბულინგი“ ყველა ტიპის სკოლაში ხდება, მასწავლებლებს მეტ თავისუფლებას მისცემს, ისაუბრონ „ბულინგის“ ფაქტების შესახებ.

მკვლევრებმა ფოკუს-ჯგუფის მონაწილე მასწავლებლებს (ადმინისტრაციის წარმომადგენლებს) უნდა დაანახონ, რომ შეიძლება მათ ბევრი რამ იციან, მაგრამ პროგრამის ჯგუფს შეუძლია მიაწოდოს ახალი და

საინტერესო ინფორმაცია. თუ გულახდილები იქნებიან, ფოკუს-ჯგუფის დროს, აღწერენ რეალურ სურათს, ეს მხოლოდ ხელს შეუწყობს პროგრამის ეფექტურობას. აუცილებელია დარწმუნდნენ, რომ მკვლევრების მიზანი არაა ვინმეს გამოაშკარავება და დასჯა. ასევე, უნდა მიაწოდოთ ინფორმაცია კვლევის მონაცემების კონფიდენციალობის შესახებ. კერძოდ, კვლევის შედეგები გაზიარებული იქნება სკოლის ადმინისტრაციისთვის, მაგრამ მონაცემები ისეთი ფორმით იქნება დამუშავებული, რომ არ იქნება იდენტიფიცირებული, კონკრეტულად რომელი მონაწილისგან რა ინფორმაცია მიიღეს.



მშობლები

ძირითადი პრობლემა, მშობლებთან ურთიერთობისას, მათი სასკოლო ცხოვრებაში ნაკლები ჩართულობაა.


მკვლევრები წინასწარ უნდა დარწმუნდნენ, რომ მშობლები ინფორმირებულები არიან შეხვედრის მიზნისა და ხანგრძლივობის შესახებ (უმჯობესია, წინასწარ გაფრთხილდნენ, რომ ორი საათი გაგრძელდება, თუმცა, უმეტესად, მაქსიმუმ 1.5 საათი გრძელდება). ასევე, მნიშვნელოვანია, დროულად მივიდნენ შეხვედრის ადგილას.

აუცილებელია, მკვლევრებმა მშობლებს გაცნობის ეტაპზე სწორად მიაწოდონ ინფორმაცია საკუთარი თავის, პროგრამის მიზნებისა და კონცეფციის, ასევე კვლევის მიზნების შესახებ. ასევე, დასაწყისშივე უნდა გაესვას ხაზი პროგრამასთან მშობლების თანამშრომლობის მნიშვნელობას. მშობლები წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი კვლევის მონაცემების კონფიდენციალურობის შესახებ. კერძოდ, კვლევის შედეგები გაზიარებული იქნება სკოლის ადმინისტრაციისთვის, მაგრამ მონაცემები ისეთი ფორმით იქნება დამუშავებული, რომ არ იქნება იდენტიფიცირებული, კონკრეტულად რომელი მონაწილისგან რა ინფორმაცია მიიღეს.

დაწყებითი კლასის მოსწავლეების ბულინგის გამოსწორების შეფასება



დაწყებითი კლასის მოსწავლეების ბულინგის გამოცდილების შესაფასებლად, არავერბალური ტიპის დავალებები იქნება გამოყენებული.



შეფასების პროცედურა: აჩვენეთ ბავშვს 5 ზომის ბარათი, რომელზეც გამოსახულია ბულინგის ტიპური სიტუაცია და უთხარი: „ეს ანა“ (თითოთ ან ფანქრით მიანიშნეთ ნახატის მარცხენა მხარეს, სხვებისაგან იზოლირებულად მდგომო გოგონას გამოსახულებაზე), „ესენი კი მისი თანაკლასელები არიან“ (მიანიშნეთ დანარჩენი გოგონების გამოსახულებაზე). კლასელები ანას დასცინიან; ყოფილხარ შენ ანას მსგავს სიტუაციაში? იცნობ ვინმეს, ვისაც ანასავით დასცინიან კლასელები? გინახავს ასეთი შემთხვევა კლასში, ბუფეტში ან სკოლაში?





ბარათების შერჩევა: შეარჩიეთ ტიპური სიტუაციების - დაცინვა, შეშინება, მუქარა წართმევა - შესაბამისი სიუჟეტი; ბულინგის თითოეული ფორმისათვის სასურველია 3-5 სიუჟეტის შერჩევა. სიუჟეტის/სკენის ვალიდობის შესაფასებლად, საჭიროა მათი წინასწარი შეფასება. შეარჩიეთ საკვლევი ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები (თითოეულ ბარათზე სულ ცოტა 10 ბავშვი) და სთხოვეთ, აღწეროს რას ხედავს სურათზე. სკენები, რომლებსაც ბავშვების უმრავლესობა (90%) აღწერს სწორად და იდენტურად, შესაძლებელია გამოვიყენოთ, როგორც საკვლევი ინსტრუმენტი. ბარათები, რომლებზეც ბავშვები განსხვავებულ პასუხებს იძლევიან ან არ შეესაბამება ობიექტურ გამოსახულებას, კვლევითი მიზნებისათვის არ გამოდგება.






















ბულინგის კითხვარი უფროსკლასელებისთვის

სქესი

ასაკი

კლასი

თარიღი

1. გსმენია თუ არა ბულინგის შესახებ?

- კი - გადადი მე-2 შეკითხვაზე;
- არა - გადადი „ა“ სექცია-ზე.

2. შენი აზრით, რა არის ბულინგი? გთხოვ, შენი სიტყვებით გადმოსცე ამ ტერმინის განმარტება, ისე როგორც გესმის;

3. ბულინგის რომელი შემთხვევების შესახებ გსმენია? (შეგიძლია მონიშნო რამდენიმე პასუხი)

- გალიზიანება;
- დამცინავი / არასასიამოვნო სახელების დაძახება;
- ღაცინვა;
- დამუქრება;
- სხვების წინაშე შერცხვენა;
- ჭორების გავრცელება;
- იზოლირება - კონტაქტის არ ქონა;
- სხვა ბავშვებისთვის თქმა, რომ არ იმეგობრონ ვინმესთან;
- ნივთის წართმევა;
- ფულის წართმევა;
- რომელიმე სახის ქცევაზე იბულება;
- ხელის კვრა;
- დარტყმა;
- ცემა;
- სხვა - მიუთითეთ.

სექცია „ა“

უკნასკნელი ერთი წლის განმავლობაში, რამდენად ხშირად მოქცევის-
არ შენს თანაკლასელს/თანაკლასელებს ან სხვა მოსწავლეს/მოსწავლეებს
შემდეგნაირად:

	არასდროს	ზოგჯერ	ერთხელ ან ორჯერ თვეში	ერთხელ კვირაში	რამდენ- ჯერმე კვირაში	ყოველდღე
1 ვალიზიანები იმით, რომ უსიამ- ოვნო რაღაცებს ვეუბნებოდი;	1	2	3	4	5	6
2 ხელს ვკრავდი;	1	2	3	4	5	6
3 მასზე უხეშ კომენტარებს ვაკეთებდი;	1	2	3	4	5	6
4 მის წინააღმდეგ ჩემი შეგობრები განვაწვევე;	1	2	3	4	5	6
5 დაცინოდი/ცუდად ვხუმრობდი მასზე;	1	2	3	4	5	6
6 ძალით შევეჯახებოვარ, როცა ჩემს გვერდით ჩაუვლია;	1	2	3	4	5	6
7 შეგნებულად შემიგინებია;	1	2	3	4	5	6
8 მასზე ჩემი შეგობრებისთვის ისეთი რაღაცები მითქვამს, რომ პრობლემები შექმნოდა;	1	2	3	4	5	6
9 გვექონია ფიზიკური სახის კონ- ფლიქტი, რადგანაც არ მომწონდა;	1	2	3	4	5	6
10 მის გარეგნობაზე ცუდი რამ მითქვამს;	1	2	3	4	5	6
11 ისე მიმოქმედია, რომ სხვა მოსწავლეებს მასზე ჭორების გავრცელება დაუწყიათ;	1	2	3	4	5	6
12 მისთვის სახეში გამირტყამს ან ძლიერად დამირტყამს;	1	2	3	4	5	6
13 ისე მოქცეულვარ, რომ მოსწავ- ლეებს დაუიფნორებიათ;	1	2	3	4	5	6
14 დამიცინია სხვადასხვა სახელების/სიტყვების დაცხებით;	1	2	3	4	5	6
15 მისვრია რამე ნივთი ისე, რომ მას მოხვედროდა;	1	2	3	4	5	6
16 დავმუქრებოვარ რომ ფიზიკურად დავაზიანებდი;	1	2	3	4	5	6
17 სპეციალურად დამიტოვებია სხვადასხვა აქტივობებისა თუ თამაშების მიღმა;	1	2	3	4	5	6
18 იმისთვის, რომ ჩემგან შორს დაე- ჭირა თავი და არ მომკარებოდა, სპეციალურად, ცუდად ვუმზერდი.	1	2	3	4	5	6

სექცია „ბ“

უკნასკნელი ერთი წლის განმავლობაში, რამდენად ხშირად მოგეკცა კლასელი/კლასელები შემდეგნაირად:

	არასდროს	ზოგჯერ	ერთხელ ან ორჯერ თვეში	ერთხელ კვირაში	რამდენ-ჯერმე კვირაში	ყოველდღე
1 გაველიზიანებივარ იმით, რომ ჩემთვის უსიამოვნო რაღაცეები უთქვამთ;	1	2	3	4	5	6
2 ხელი უკრავთ;	1	2	3	4	5	6
3 ვილაც არ დამმეგობრებია, რადგან სხვებს არ მოეწონდი;	1	2	3	4	5	6
4 ჩემზე უხეში კომენტარები გაუქეთებიათ;						
5 ჩემთვის საკმაოდ ძლიერად დაურყამთ ხელი ან წინხლი;	1	2	3	4	5	6
6 ვილაცას ჩემთვის იგნორირება გაუქეთებია, როდესაც თავის მეგობრებთან ერთად იყო;	1	2	3	4	5	6
7 ჩემზე შეუთხზავთ ცუდი ხუმრობები;	1	2	3	4	5	6
8 ძალით შემჯახებთან, როდესაც ჩემს გვერდით ჩაუვლიათ;	1	2	3	4	5	6
9 ჩემს მიმართ მტრულად განუწყვეთა თავისი მეგობრები;	1	2	3	4	5	6
10 ჩემი ნივთები სპეციალურად დაუზიანებიათ;	1	2	3	4	5	6
11 ჩემს გარეგნობაზე უთქვამთ ისეთი რაღაცეები, რაც არ მომწონებია;	1	2	3	4	5	6
12 ვილაცას სახლში არ დავუპატიჟე-ვარ, რადგან სხვებს არ მოეწონდი;	1	2	3	4	5	6
13 მოსწავლე(ებ)ს დავუცინივარ;	1	2	3	4	5	6
14 ვილაცას ისე უმოქმედია, რომ სხვა მოსწავლეებს ჩემზე ჭორი აუგორებიათ;	1	2	3	4	5	6
15 ჩემთვის უსვრიათ რაღაცეები ისე, რომ მომხვედროდა;	1	2	3	4	5	6
16 დამმუქრებთან, რომ რაიმეს მატკენდნენ ან დამაზიანებდნენ;	1	2	3	4	5	6
17 სპეციალურად დავუტოვებიათ სხვადასხვა აქტივობებისა და თამაშების მიღმა;	1	2	3	4	5	6
18 ჩემთვის დაუძახიათ ისეთი სახელები/სიტყვები, რომლებიც მე არ მომწონდა.	1	2	3	4	5	6

4. გვიამბე, როგორ მოქცეულხარ, თუ მსგავს სიტუაციაში მოხვედრილხარ?

5. ვინმესთვის მიგიმართავს?

კი

არა

თუ „კი“, ვისთვის? _____

6. გვიამბე, მოვლენები როგორ განვითარდა?

7. როგორ მოგვარდა (ან, ვერ მოგვარდა) პრობლემა?

დათვლის ინსტრუქცია

დებულებებს ქულები ენიჭება ისევე, როგორც კითხვარშია წარმოდგენილი: (მაგ.: 1 - არასდროს, 6 - ყოველდღე);

სექცია „ა“ შეიცავს ბულინგის (ბულერის) დებულებებს. ქვესკალების ქულები ითვლება შემდეგი სახით:

ვერბალური ბულინგი: დებულებები 1, 3, 5, 7, 10, 14;

სოციალური ბულინგი: დებულებები 4, 8, 11, 13, 17, 18;

ფიზიკური ბულინგი: დებულებები 2, 6, 9, 12, 15, 16.

სექცია „ბ“ შეიცავს ვიქტიმიზაციის (მსხვერპლის) დებულებებს; ქვესკალების ქულები ითვლება შემდეგი სახით:

ვერბალური ვიქტიმიზაცია: დებულებები 1, 4, 7, 11, 13, 18;

სოციალური ვიქტიმიზაცია: დებულებები 3, 6, 9, 12, 14, 17;

ფიზიკური ვიქტიმიზაცია: დებულებები 2, 5, 8, 10, 15, 16.

გამოანგარიშება ხდება დებულებების შეკრებით თითოეული ინდივიდუალური ტოტალური ქულისთვის (ბულინგი და ვიქტიმიზაცია) ან ყოველი ქვესკალის ქულისთვის (ვერბალური, სოციალური, ფიზიკური). ნებისმიერი მოსწავლე, რომელსაც ექნება 18 ქულა ბულინგის ან ვიქტიმიზაციის ტოტალურ ქულაზე, არასდროს ყოფილა ბულინგის მსხვერპლი ან ბულერი. ამ ინსტრუმენტს არ აქვს ე.წ. „დადგენილი ქულები“. ქვესკალების ანგარიშის შემთხვევაში 6 ქულა ნიშნავს, რომ რესპოდენტი არასდროს ყოფილა ბულერი ან მსხვერპლი იმ კონკრეტული ფორმით, რომელსაც ეხება ქვესკალა.

ფოკუს-ჯგუფის კითხვები

მასწავლებლისა და აღმინისტრაციისთვის

1

საკვლევი საკითხი:

მოსწავლის/ბავშვის ინტერესებსა და საჭიროებებს ასახავს თუ არა სკოლის მიზნები, ღირებულებები და ტრადიციები?

შეკითხვა: მოგვიყევით თქვენი სკოლის, მისი მიზნების, ღირებულებებისა და ტრადიციების შესახებ.

ამ შეკითხვაზე, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების პასუხებიდან გამომდინარე, წამყვანი აკეთებს დასკვნებს და, საჭიროების შემთხვევაში, სვამს შესაბამის დამატებით შეკითხვებს; მაგ.: თუ მონაწილეები აღნიშნავენ, რომ სკოლის ღირებულებაა - ბავშვზე ცენტრირებულობა, მაშინ წამყვანი იკითხავს:

- ▶ რას გულისხმობს ბავშვზე ცენტრირებულობა?
- ▶ რა პრაქტიკები და ტრადიციები არსებობს სკოლაში, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებას/განსხვავების აღიარებას?
- ▶ როგორ იგებს და აკმაყოფილებს სკოლა ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს/უზრუნველყოფს განსხვავების აღიარებას?
- ▶ თქვენი აზრით, რა არის უსაფრთხო სკოლის კონცეფცია, ვისი პასუხისმგებლობაა სკოლის შიგნით უსაფრთხოების უზრუნველყოფა?

2

საკვლევი საკითხი:

ურთიერთობები მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის უპირატესად არის იერარქიული თუ პარიტეტული (აღზრდის სტილების მიხედვით);

შეკითხვა: მოგვიყევით თქვენს მოსწავლეებთან ურთიერთობების შესახებ?

პასუხებიდან გამომდინარე, დასვით დამატებითი შეკითხვები:

- ▶ რა შემთხვევაში მოგმართავენ შეკითხვით? თხოვნით?
- ▶ კომუნიკაციის რა ფორმებს იყენებთ: პირადი, წერილობითი, ერთი-ერთზე, ფეისბუქი და ა.შ.
- ▶ როგორ წაახალისებთ ღია კომუნიკაციას, ნდობით დამოკიდებულებას?

3

საკვლევი საკითხი:

რა წესები არსებობს სკოლაში/კლასში, როგორი რეაგირებაა მათ დარღვევაზე?

შეკითხვა: მოგვიყევით სკოლის წესების შესახებ (ჩამოთვალეთ რამდენიმე), როგორ უზრუნველყოფთ ამ წესების ფუქნციონირებას?

- ▶ როგორ აცნობთ მოსწავლეებს/მშობლებს?
- ▶ როგორ რეაგირებთ მათ შესრულებაზე/დარღვევაზე?
- ▶ არსებობს თუ არა რეაგირების გაწერილი პროცედურა? ვინ? რას? სად? როგორ?
- ▶ აისახება თუ არა მოსწავლის მიერ წესების დარღვევა მის აკადემიურ მოსწრებაზე ან შემდგომში სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობაზე?

4

საკვლევი საკითხი:

ყველაზე ხშირად რომელი ტიპის პრობლემური/კრიზისული სიტუაციების მართვა გიწევთ? რა არის სკოლის ტიპური პრობლემა და როგორია რეაგირების გზები:

შეკითხვა: მოგვიყევით რა ძირითად სირთულეებს აწყდებით მოსწავლეებთან ურთიერთობაში და როგორ ახერხებთ ამ სირთულეების დაძლევას?

- ▶ გაქვთ თუ არა კრიზისულ სიტუაციაზე რეაგირების გაწერილი პროცედურა - ვინ? რას? როდის? სად?
- ▶ რა შემთხვევაში რთავთ საქმეში მშობელს, ადმინისტრაციას?
- ▶ რა შემთხვევაში მიმართავთ სხვა უწყებებს - მანდატურის სამსახურთან არსებულ ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრს? სოციალურ სამსახურს? პოლიციას?

ამ შეკითხვაზე პასუხები, დიდი ალბათობით, ნაწილობრივ გამოავლენს ცოდნას/დამოკიდებულებას ბულინგის შესახებ. შედავენ თუ არა მასწავლებლები ბულინგს, როგორც პრობლემას და რეაგირებენ თუ არა მასზე. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულში ბულინგი დასახელდა როგორც პრობლემა, შემდეგი შეკითხვა გამოტოვეთ ან დასვით მხოლოდ დამაზუსტებელი დამატებითი შეკითხვები.

5

საკვლევი საკითხი 5: ბავშვთა უფლებები;

შეკითხვა: რა იცით ბავშვთა უფლებების შესახებ?

დამატებითი შეკითხვები: რა დამოკიდებულება გაქვთ ამ საკითხისადმი, იცნობთ თუ არა შესაბამის ღოკუემენტებს?

6

საკვლევი საკითხი: ცოდნა ბულინგის შესახებ;

შეკითხვა: რა გსმენიათ ბულინგის შესახებ? ბულინგის რომელ ფორმებს იცნობთ?

დამატებითი შეკითხვები:

- ▶ როგორ ხვდებით, რომ ბავშვი შესაძლოა ბულინგის მსხვერპლი/მოძალადე იყოს? (შეუძლიათ თუ არა იდენტიფიკაცია);
- ▶ ბულინგის კიდევ რომელ ფორმებს იცნობთ?
- ▶ რა გსმენიათ კიბერ-ბულინგის შესახებ? გქონით თუ არა მსგავსი შემთხვევა?
- ▶ როგორ ფიქრობთ, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ბულინგმა ბავშვის სწავლაზე? ურთიერთობებზე? მის ემოციურ მდგომარეობაზე?
- ▶ შეუძლია თუ არა სკოლას მსგავსი შემთხვევების პრევენცია და როგორ?

7

საკვლევი საკითხი: რეაგირება ბულინგზე - მსხვერპლი/მოძალადე;

- ▶ თქვენი აზრით, როგორი ტიპის ბავშვები არიან ბულინგის მსხვერპლები/ბულერები?
- ▶ რას აკეთებთ, როცა ეჭვი გიჩნდებათ რომ ბავშვი იჩაგრება?
- ▶ რას აკეთებთ, როცა ხედავთ ერთი ბავშვი მეორეზე ფიზიკურად/ემოციურად ძალადობს?
- ▶ გთხოვთ გაიხსენოთ ერთ-ერთი მსგავსი შემთხვევა.

რა გავლენა აქვს სკოლის ცხოვრებაზე, სკოლის შიგნით ფორმალურ და არაფორმალურ დაჯგუფებებს?

შეკითხვა: რა ფორმით არიან მოსწავლეები ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში - კლასისა და სკოლის დონეზე? მაგ.: სად წავლენ ექსკურსიაზე? მიიღოს თუ არა სკოლამ მონაწილეობა რაიმე კონკურსში?

- ▶ არსებობს თუ არა მოსწავლეთა თვითმმართველობა? ვინ არიან ამ ჯგუფში? როგორ ხდება მათი შერჩევა და ა.შ. რა ფუნქციები აქვთ? რამდენად ქმედითუნარიანია ეს მექანიზმი?
- ▶ ყველა სკოლასა და კლასში არიან პოპულარული/ლიდერი ბავშვები, რომლებიც არაფორმალურად გავლენას ახდენენ კლასში/სკოლაში მიმდინარე პროცესებზე; როგორ არეგულირებთ ამ პროცესებს?

აქვს თუ არა მშობელთან ურთიერთობას თანამშრომლობითი და პარიტეტული ფორმა?

შეკითხვა: მოგვიყვით სასკოლო და საკლასო ცხოვრებაში მშობლების ჩართულობის შესახებ;

- ▶ არსებობს თუ არა რეგულარული/სავალდებულო შეხვედრები?
- ▶ რა შემთხვევაში /როგორ ხდება მშობელთან დაკავშირება?
- ▶ როგორ არის წახალისებული მშობლის ინიციატივა, ურთიერთობები?
- ▶ როგორ ხდება მშობლის პრეტენზიაზე/საჩივარზე რეაგირება?

ფოქუს-ჯგუფის კითხვები გმობლებისთვის

1

საკვლევი საკითხი:

ასახავს თუ არა სკოლის მიზნები, ღირებულებები და ტრადიციები მოსწავლის/ბავშვის ინტერესებსა და საჭიროებებს;

შეკითხვა: რატომ შეარჩიეთ ეს კონკრეტული სკოლა? რა იცით სკოლის მიზნების, ტრადიციებისა და ღირებულებების შესახებ?

- ▶ რას ნიშნავს თქვენთვის კარგი სკოლა?
- ▶ რა პრაქტიკები და ტრადიციები არსებობს სკოლაში, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებას/განსხვავების აღიარებას?
- ▶ როგორ იგებს და აკმაყოფილებს სკოლა ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს/უზრუნველყოფს განსხვავების აღიარებას;

2

საკვლევი საკითხი:

მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობები უპირატესად არის იერარქიული თუ პარიტეტული (აღზრდის სტილების მიხედვით);

შეკითხვა: მოგვიყევით თქვენს შეილებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობების შესახებ?

პასუხებიდან გამომდინარე, დასვით დამატებითი შეკითხვები:

- ▶ რა შემთხვევაში მიმართავენ მასწავლებლებს შეკითხვით? თხოვნით?
- ▶ კომუნიკაციის რა ფორმებს იყენებენ მასწავლებლები: პირადი, წერილობითი, ერთი-ერთზე, ფესიბუქი და ა.შ.
- ▶ აღმოიფხვრება თუ არა პრობლემები;

რა წესები არსებობს სკოლაში/კლასში, როგორია რეაგირება მათ დარღვევაზე? ხართ თუ არა ინფორმირებული სკოლის წესების შესახებ?

შეკითხვა: მოგვიყევით სკოლის წესების შესახებ (ჩამოთვალეთ რამდენიმე), როგორ უზრუნველყოფს სკოლა ამ წესების ფუქნციონირებას?

- ▶ როგორ აცნობენ თქვენს შვილებს (და თქვენ) ამ წესებს?
- ▶ როგორ რეაგირებს სკოლა მათ შესრულებასა თუ დარღვევაზე?
- ▶ აისახება თუ არა მოსწავლის მიერ წესების დარღვევა მის აკადემიურ მოსწრებაზე ან შემდგომში სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობაზე?

წამყვანი: როგორც იცით, ყველა სკოლასა და კლასში არიან პოპულარული/ლიდერი ბავშვები, რომლებიც არაფორმალურად გავლენას ახდენენ კლასში/სკოლაში მიმდინარე პროცესებზე; ასეთმა ბავშვებმა ხშირად შეიძლება ზედმეტად გამოიყენონ თავიანთი პოპულარობა და სხვები დაჩაგრონ.

შეკითხვა: ყოფილა შემთხვევა, რომ თქვენს შვილს მოუყოლია ერთი ბავშვის მიერ მეორის ჩაგვრის, ან მასზე ძალადობის შესახებ?

შესაძლოა:

- თვითონ ის დაჩაგრეს;
 - მან სხვა დაჩაგრა;
 - ასეთ ფაქტს შეესწრო.
- ▶ როგორ ფიქრობთ, ეს განვითარების ჩვეულებრივი პროცესია?
 - ▶ როგორია ამ დროს სკოლის როლი, მასწავლებლის, ადმინისტრაციის და სხვა ბავშვების?
 - ▶ როგორია მშობლის როლი?

5

საკვლევი საკითხი: ცოდნა „ბულინგის“ შესახებ;

შეკითხვა: რა გსმენიათ ბულინგის შესახებ? ბულინგის რა ფორმებს იცნობთ?

დამატებითი შეკითხვები:

- ▶ როგორ ხვდებით, რომ თქვენი შვილი/მისი თანაკლასელი შესაძლოა ბულინგის მსხვერპლი/მომალადე იყოს? (შეუძლიათ თუ არა იდენტიფიკაცია);
- ▶ ბულინგის კიდევ რა ფორმებს იცნობთ?
- ▶ რა გსმენიათ კიბერ-ბულინგის შესახებ? გკონით თუ არა მსგავსი შემთხვევა?
- ▶ როგორ ფიქრობთ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ბულინგმა ბავშვის სწავლაზე? ურთიერთობებზე? მის ემოციურ მდგომარეობაზე?
- ▶ შეუძლია თუ არა სკოლას მსგავსი შემთხვევების პრევენცია და როგორ?

6

საკვლევი საკითხი: მასწავლებლებთან/სკოლასთან ურთიერთობა;

შეკითხვა: მოგვიყევით სასკოლო და საკლასო ცხოვრებაში თქვენი ჩართულობის შესახებ;

- ▶ როგორ იღებთ ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ?
- ▶ არსებობს თუ არა რეგულარული/სავალდებულო შეხვედრები?
- ▶ რა შემთხვევაში და როგორ ხდება თქვენთან დაკავშირება?
- ▶ როგორ და რა შემთხვევაში უკავშირდებით თქვენს სკოლას?
- ▶ როგორ ხდება თქვენს პრეტენზიასა და საჩივარზე რეაგირება?
- ▶ სხვა პრობლემებს თუ აწყდებით მასწავლებლებთან ურთიერთობისას?

არაძალადობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტი
www.incgeo.org.ge
info@incgeo.org

